საქართველოსტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

თავი I
რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებსსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდეგში – სტუ) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსადამოვალეობებს;

2. წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

თავი II
ტერმინები და განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აფილირება – წინამდებარე წესის მიზნებისათვის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა (შემდგომში სტუ) და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმება (აფილირების ხელშეკრულება), რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ სტუ-თან, სტუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და

- სტუ-ში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება სტუ-ს;
- აქტიურად არის ჩართული სტუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც სტუ-თან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების ხელშეკრულება;

გ) აფილირების ხელშეკრულება – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია სტუ-სა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში;

დ) უსდ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

თავი III
აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები

1. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებული პირი, თუ იგი ამავე დროს არის სხვა უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე, ხელშეკრულების გაფორმებამდე ვალდებულია სტუ-სთან გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება (იხ. დანართი);

2. სტუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც გაიმარჯვებს სხვა უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, ვალდებულია სტუ-სთან გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება (იხ. დანართი);

3. სტუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ;

4. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა ავტომატურად იწვევს შრომითი ხელშეკრულების მოშლას.

თავი IV
გარდამავალი დებულებები

1. სტუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც 2017/2018 სასწავლო წლის დაწყებამდე არ ეწურება თანამდებობაზე ყოფნის ვადა, ვალდებულია2017 წლის 16 სექტემბრამდე სტუ-სთან გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება (იხ. დანართი);

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი მოცემულ ეტაპზე თავისუფლდება სტუ-თან აფილირების ხელშეკრულების გაფორმებისაგან, თუ მან ამ წესის დამტკიცებამდე შეასრულა მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება, რის საფუძველზეც სხვა უსდ-სთან გააფორმა აფილირების ხელშეკრულება. პირი ვალდებულია 2017 წლის 16 სექტემბრამდეწარმოადგინოს აღნიშნული ხელშეკრულების დამოწმებული ასლი.